



ააიპ "უსაფრთხო სივრცე"-ს
თავმჯდომარეს ა. გაბრიაძეს

მის: ქ. თბილისი, დიდმის მასივი,
V კვარტალი, მე-6 კორპ. ბინა №46

სამსახურმა განიხილა ქ. თბილისის მერიის მიერ 2011 წლის 04 ოქტომბრის №07/131411-13 წერილით გადმოგზავნილი თქვენი 28.09.2011წ. №11/126963-7 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ინფორმაციას ქ. თბილისის ტერიტორიაზე არსებული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო სტატუსის მქონე იმ ობიექტების ნუსხის შესახებ, რომლებსაც გააჩნია კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი.

პასუხად გაცნობებთ, რომ "ქ. თბილისში არსებული კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ნაგებობებისათვის კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის სტატუსის მინიჭების თაობაზე" საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2007 წლის 01 ოქტომბრის №3/181 ბრძანებით დამტკიცებულია ქ. თბილისში მდებარე უძრავი ძეგლის სტატუსის მქონე შენობათა ნუსხა. ხოლო, რაც შეეხება ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონას - ქ. თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის №17 გადაწყვეტილებით დამტკიცებული დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის თანახმად ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონას უჭირავს ქ. თბილისის ტერიტორიის 101 950 253. 3 კვ.მ. ფართობი.

ასევე, დამატებით გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის ტერიტორიაზე კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ნაგებობებისათვის ძეგლის სტატუსის მინიჭების თაობაზე დაზუსტებული ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ მიმართოთ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს.

ამასთან, ქ. თბილისის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურს, თავის უფლებამოსილებას დაქვემდებარებულ საკითხებთან დაკავშირებით, შეგიძლიათ მომართოთ კონკრეტული ობიექტის თაობაზე ინფორმაციის მისაღებად.

პატივისცემით,
ინფორმაციული უზრუნველყოფის
დეპარტამენტის უფროსი

გ. ტალახაძე